საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კორახეთი

კორახეთი, მხარე დასავლეთ საქართველოში. მოიცავდა მდ. კელასურის ზემო ნაწილს და მის მიმდებარე ზონას გუმისთის ხეობიდან კოდორის ხეობამდე. აქ ორი ქართული ტომი სახლობდა – აბსილები და კორახები. ეს ტერიტორია ანტ. ხანასა და შუა საუკუნეებში ორი სახელით არის ცნობილი: აბსილეთი და კ.

ძვ. წ. VI ს-იდან ვიდრე ახ. წ. I ს-მდე ამ მხარეს ეწოდება „კორახთა (კორაქსთა) ქუეყანა“, აქ მოსახლე ტომს – კორახნი (კორაქსნი), ამ მხარის მდინარეს – კორახის (კორაქსის) მდინარე, საფორტიფიკაციო ნაგებობას – კორახის (კორაქსის) კედელი (კელასურის კედელი), კავკასიონის ქედის იმ ნაწილს, რ-იც ჩრდ-იდან აკრავს ამ მხარეს – კორახის მთები. აბსილები აქ პირველად ახ. წ. I ს-ში იხსენიებიან და ამ დროიდან მოყოლებული ეს მხარე იწოდება არა კ-დ, არამედ აბსილეთად.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ი ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს საზღვრები, თბ., 1996.